ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2668189

ნომერი: AR1411345

თარიღი : 07.06.2016

გაცემის თარიღი : 22.06.2016

გაცნობის თარიღი : 23.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბუდაპეშტი , N 1ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ქეთევან ალექსიშვილი პ/ნ 01024016364
- თბილისი ბუდაპეშტის ქ. N 1ბ

ორგანიზაცია:
- შპს "ჰოლდინგი საქართველო" კოდი: 211752021

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა, N 1ბ, შპს „ჰოლდინგი საქართველო“–ს უთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N004/022), I კლასის ღობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „ჰოლდინგი საქართველო“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.10.14.004.022 , ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015557501 02/10/2015 წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ბუდაპეშტის ქუჩა, N 1ბ, შპს „ჰოლდინგი საქართველო“–ს უთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N004/022), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.